ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ.“ ქვეპუნქტის, 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, 4^1 მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, 12^1 მუხლისა და საქართველოს კანონის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის წესი N1 დანართის შესაბამისად.

(დანართი № 1 წინამდებარე

დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დაწესდეს დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი N2 დანართის შესაბამისად.

(დანართი № 2 წინამდებარე

დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე თვეში განისაზღვროს 1 ლარით.

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის N45 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 03/04/2018. N010250020.35.123.016448).

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი